# ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, გლდანის „ა” მ/რ გიმნაზიის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნა.

## საექსპერტო დასკვნა

### კონსტრუქციული ნაწილი

შ.პ.ს. „ახალი ქართული გიმნაზია.” – მისი დირექტორი მაია არაბული ს/კ 200036497 და ფიზიკური პირის ჯუმბერ ვაშაკიძეს შორის პ/ნ-01015020228 მიერ 2014 წ. 11 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული იქნა ზემოაღნიშნულ მისამართზე შენობის ვიზუალური დაკვირვება-გამოკვლევა.

„ახალი ქართული გიმნაზია“-ის ვიზუალური დაკვირვება-გამოკვლევამ გვიჩვენა, შენობის ბლოკი ოთხსართულიანია, სარდაფითა და გადახურვის ტექნიკური სართულით. **სურ №1.**



**სურ №1.**

იგი აშენებულია დაახლოებით მე-20 საუკუნის II ნახევარში. სარდაფის დათვალიერებიდან ნათლად ჩანს, რომ საძირკველი ეფუძნება ძირითად ქანებს.

ის მიეკუთვნება მსხვილპანელოვან ნაგებობას, ანუ რკინაბეტონის კედლები შეკრულია ყოველ სართულზე რკინაბეტონის სარტყელებით, სარტყელებს ყოველ სართულზე ეყრდნობა და გამონოლითებულია გადახურვის ღრუტანიანი სიმკარებით.

გარე ფასადზე შეიმჩნევა ნალესის ჩამონაცვენები **სურ №2.** რომელიც ვერ გამოიწვევს ნაგებობის მზიდი ელემენტების დაზიანებას.



**სურ №2.**

გარე ფასადისა და შიდა ინტერიერების დათვალიერებამ გვიშვენა, რომ ნაგებობა არ განიცდის ჯდენას, არ არის წარმოშობილი რღვევითი ბზარები. **სურ №3; სურ №4 და სურ. №5.**

კიბის უჯრედის პირველი და მეოთხე სართულის ჩათვლით, დაკვირვების შედეგად, აქაც არ შეიმჩნევა საერთოდ ბზარები, რომელიც ზიანს მიაყენებდა მთლიანად კიბის უჯრედის სისტემას. **სურ №6.**



სურ №3.



სურ №4.



სურ №5.



სურ №6.

ტექნიკური სართულისა და სახურავის დათვალიერებამ გვიჩვენა, რომ გადახურვა წარმოადგენს ბრტყელ გადახურვას. **სურ №7.**



**სურ №7.**

ტექნიკური სართული აუცილებლად უნდა გასუფთავდეს სამშენებლო ნარჩენებისაგან.

**დასკვნები და რეკომენდაციები:**

1. სახურავზე მშენებლობის პერიოდში მკაცრად უნდა იყოს დაცული შრომის უსაფრთხოების წესები.

2. სართულის დაშენების შემთხვევაში უნდა შედგეს შესაბამისი არქიტექტურული და კონსტრუქციული ნახაზები.

3. უნდა მოხდეს სახურავის ბრტყელი გადახურვის დემონტაჟი.

4. შესაძლებელია შენარჩუნდეს ტექნიკური სართულის კედლები.

5. კედლებში ჩაშენდეს მონოლითური რკინაბეტონის სვეტები და მის ზედაპირზე მოეწყოს რკინაბეტონის სარტყელი ისე, რომ მოხდეს ერთმანეთთან გამონოლითება.

6. დემონტაჟის შედეგად ნაგებობის წონა შემსუბუქდება და შესაბამისად საძირკვლის გრუნტზე გადაცემული დატვირთვები შემცირდება.

7. აღნიშნულ რკინაბეტონის სარტყელზე მოეწყოს ლითონის კარკასის კონსტრუქციები (მსუბუქი კონსტრუქციები).

8. იატაკად გამოყენებულ იქნას ტექნიკური სართულის იატაკი.

9. არქიტექტურულ ნახაზებთან შესაბამისად კონსტრუქციად მიღებულ იქნას ლითონის კარკასის კონსტრუქციები (მსუბუქი კონსტრუქციები) რომლის შენობაზე დატვირთვა გაცილებით ნაკლები იქნება ვიდრე გამოწვეული რკინაბეტონის კარკასისაგან.

ზემოთ აღნიშნული **დასკვნებისა და რეკომენდაციების** გათვალისწინების საფუძველზე ნება ეძლევა მეხუთე (ერთი) სართულის ლითონის კონსტრუქციების მოწყობას, რაც ზიანს არ მიაყენებს მთლიანად ნაგებობის მზიდუნარიანობასა და მდგრადობას.

დოქტორი: **ჯ. ვაშაკიძე**